



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
განათლების მეცნიერების პროგრამა

ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტეგრირებული  
გაკვეთილების ეფექტურობა ინგლისურ ენაზე აკადემიური მიზნებით  
კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის (საქართველოს საშუალო სკოლის  
მაგალითზე)

თინათინ ქუმსიაშვილი  
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ჩქოტუა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული  
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

---

(აკადემიური ხარისხი)

---

(სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები: სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი

1. ნათელა დოლონაძე, პროფესორი, დოქტორი

---

ხელმოწერა

2. ნინო თვალჭრელიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

---

ხელმოწერა

ოპონენტები: (სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი)

1. ირა დანელია, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

---

ხელმოწერა

2. მაია ალავეძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

---

ხელმოწერა

3. ნათია სოფრომაძე, დოქტორი

---



## შესავალი

ინგლისური ენის პოპულარობა დღითი დღე იზრდება. მუდმივად ცვალებად სამყაროში იგი ლინგვისტური ბარიერის მომხსნელ ინსტრუმენტად იქცა. ექვგარეშეა რომ ლინგვა ფრანკად ქცეული ინგლისური ენა (ჰაუსი, 2002), 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის როგორც პროფესიული წარმატების მიღწევაში, ისე პირად წინსვლაში. სწორედ ამიტომ, საშუალო სკოლაში ამ ენის სწავლებისას ძირითადი აქცენტის გაკეთება განხრავზე „ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის“ სკოლის მოსწავლეებს უნივერსიტეტში ჩაბარებას, ხოლო ახალგაზრდებს სამსახურის ძიების პროცესს მნიშვნელოვნად გაუმარტივებს.

ჩვენი ქვეყანა ცდილობს ფეხი აუწყოს მსოფლიო ტენდენციებსა და გამოწვევებს. შესაბამისად, საქართველოში, ინგლისური ენის შესწავლას მშობლები არაფორმალური სახით ადრეული ასაკიდანვე აწყებინებენ ბავშვებს. ეს ხდება სახლში სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიის საშუალებით, კერძო მასწავლებელთან ან ინგლისურენოვან საბავშვო ბაღში ტარებით. რაც შეეხება ინგლისური ენის ფორმალური გზით სწავლებას, სკოლაში მისი სწავლება სავალდებულოა პირველივე კლასიდან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011).

დღესდღეობით, ერთ სფეროში დაგროვილი ცოდნის მეორეში გადატანის უნარ-ჩვევის ქონა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ინგლისური ენის ცოდნა (პელლეგრინო & ჰილტონი, 2012). ინტეგრირებული სასწავლო გეგმა ამ უნარების დაუფლების შესაძლებლობას იძლევა, ამიტმაც ინტეგრირებული გაკვეთილების მეშვეობით ინგლისური ენის აკადემიური მიზნებისათვის სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია.

ინტეგრირებული სწავლება სიახლეა საქართველოს განათლების სისტემაში. ამიტომ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხის სტრატეგიების სწავლება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. იგი ადამიანებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგონ წაკითხული ტექსტის შინაარსი და შესაბამისად საგანმანათლებლო სივრცესა თუ სამსახურში უფრო ეფექტურად შეასრულონ ყოველდღიური დავალებები. რაც შეეხება ინტეგრირებულ სწავლებას, ის ხელს უწყობს

თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებასა და შინაარსობლივ სწავლებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამ დისერტაციის მიზანია, მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საქართველოში ინტეგრირებული გაკვეთილებით ეფექტური კითხვის სტრატეგიებისა და ინგლისური ენის აკადემიური მიზნებისათვის სწავლებაში.

### **კვლევის მიზანი**

დისერტაციის მიზანია ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებაში ყველაზე გავრცელებული მიდგომების დანერგვა და ინგლისური ენის აკადემიური მიზნებისათვის სწავლების პროცესში საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირება. იგი ასევე მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს პრობლემის მამტაბურობის განმსაზღვრელი მონაცემები, მკითხველს დაანახოს სკოლებში, საშუალო საფეხურზე ეფექტური კითხვის სტრატეგიებისა და ინტეგრირებული სწავლების დანერგვის მნიშვნელობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისერტაცია მიზნად ისახავს:

1. განსაზღვროს ქართულ სკოლაში, საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების და ასევე საშუალო სკოლის მასწავლებლების ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონე.
2. განსაზღვროს საქართველოში მასწავლებლების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინფორმირებულობის დონე.
3. განსაზღვროს ინგლისურ ენაზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სამეცნიერო საგნებთან ინტეგრირებულ გაკვეთილებზე სწავლების ეფექტურობა.
4. შექმნას ინტეგრირებული გაკვეთილების მოდელი (ინგლისური ენა და საბუნებისმეტყველო საგნები) რომელიც საქართველოში ინგლისურ ენაზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებას ემსახურება.

### **საკვლევი კითხვები**

კვლევის მიზანია უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორია ქართულ სკოლაში, საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლების ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონე?
2. როგორია საქართველოში, საშუალო სკოლის მასწავლებლების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინფორმირებულობის დონე?
3. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმა ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებას?
4. ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე, ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებისთვის შექმნილი მოდელი ახდენს თუ არა გავლენას კითხვაში მოსწავლეთა აკადემიურ წინსვლაზე ?

### **სიახლე და აქტუალობა**

საქართველოს სკოლებში, ინტეგრირებული სწავლების მიდგომები მხოლოდ 2002 წელს დაინერგა. ინტეგრირებულ სწავლებაზე დაფუძნებული კითხვის უნარების განმავითარებელი სილაბუსი არც სკოლებშია და არც უნივერსიტეტში. დღეს დღეობით ინტეგრირება უმეტესად ერთ ან მონათესავე საგნებში ხდება, როგორცაა მაგალითად ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია და ქიმია, და არა ორ, აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში, როგორცაა ინგლისური ენა და საბუნებისმეტყველო სტრატეგიები. არ არსებობს კვლევა თემაზე: „ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინგლისურ ენასა და საბუნებისმეტყველო საგნებში“. ამდენად, ეს დისერტაცია, შესაძლოა სიახლედ იქნეს მიჩნეული საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში. ის უმეტეს წილად ფოკუსირებულია ქართულ, საშუალო სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინგლისური ენის ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების მოდელის შექმნაზე.

### **პრობლემის აქტუალობა**

თანამედროვე, სწრაფად ცვალებად, გლობალურ სამყაროში ინგლისური ენის, კერძოდ კი კითხვის უნარის, ისევე როგორც, ერთ სფეროში დაგროვებული ცოდნის

მეორეში გადატანის ან ერთმანეთთან დაკავშირების უნარის ფლობა ძალიან მნიშვნელოვანია. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქართულ სკოლებში სათანადო დონეზე ვერ ხდება ზემოხსენებული უნარების სწავლება. სამწუხაროდ TIMSS & PIRLS ის (2016) კვლევების თანახმად, ქართველი მოსწავლეების მიღწევები საერთაშორისო საშუალო ნიშნულს (500) ვერ აღწევს. 48 მონაწილე ქვეყნიდან საქართველო 471 ნიშნულით 38-ე ადგილს იკავებს. სადისერტაციო კვლევის შედეგები მკითხველს ამ პრობლემის გადაჭრის გზებს სთავაზობს.

### **თეორიული ღირებულება**

დისერტაცია ეყრდნობა შემდეგ თეორიებს:

1. ჯონ დიუისა და ჰოვარდ გარდნერის მრვალმხრივი ინტელექტის თეორია (გარდნერი, 2011).
2. ჟან პიაჟეს (1965) კოგნიტური განვითარების თეორია, რომელიც ასევე ცნობილია კონსტრუქტივიზმის თეორიის სახელით.
3. კენ გუდმენის (2014) მიდგომა - ენა როგორც ერთი მთლიანობა.

ამ დისერტაციის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ის რომ დისერტაცია ცდილობს გაანალიზოს ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებაზე არსებული ლიტერატურა (ო' მალვეი & შამო, 1995; ბრაუნნი, 1987; ავტონი, 2010; ნუანი, 1999; ცარელი, დევინი & ესკვი, 2012; რუმელჰარტი, 1997; გარდნერი, 2011; პიაჟე, 1965; გუდმანი, 2014). ინტეგრირებული გაკვეთილების შექმნისა და მათი ჩატარების მოდელი ამ სადისერტაციო თემის უმთავრესი თეორიული კონტრიბუციაა.

### **პრაქტიკული ღირებულება**

კითხვის უნარის კარგად ფლობა ერთერთი მნიშვნელოვანი უნარია და წარმატების საწინდარი ნებისმიერ სფეროში. თუმცა ენის დანარჩენ სამ უნართან შედარებით კითხვაში იშვიათად თუ ხელოვნდებიან (ბინი, 1996). ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს კითხვა და წაკითხულის გააზრება არამხოლოდ სკოლაში, არამედ უნივერსიტეტშიც კი. გარდა იმისა რომ უჭირთ კითხვა ყველა ადამიანს არ შესწევს უნარი ერთ

სფეროში მიღებული ცოდნა გადაიტანოს მეორეში. ამიტომ კვლევაში შემოთავაზებული მოდელი მასწავლებლებს დაეხმარება გაანალიზონ ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მნიშვნელობა. იგი მასწავლებლებს და ამ თემებით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს შესთავაზებს პრაქტიკულ მასალებს, გაიდლაინებსა და სასწავლო გეგმას რაც საქართველოში, ინგლისური ენის გაკვეთილებზე სრულიად განხორციელებადი იქნება მეათე და მეთერთმეტე კლასებში. განსაკუთრებით, ეს იმ სკოლებს ეხებათ, სადაც ინგლისური ენის სწავლება გაძლიერებულად მიმდინარეობს და აქვთ ინგლისურში, გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში ის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც ამ დისერტაციაშია შემოთავაზებული. ეს სასწავლო გეგმა მნიშვნელოვანი იქნება არამხოლოდ ინგლისურის, არამედ ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებისთვისაც. სასწავლო გეგმის სტრუქტურა საშუალებას იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოდგენილი მასალა გამოყენებულ იქნას როგორც მთლიანობაში ისე ნაწილობრივად.

### **ჰიპოთეზა**

თემას აქვს ორი ჰიპოთეზა:

- ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება ხელს უწყობს საშუალო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გააზრების დონის ამაღლებას.
- ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება ხელს უწყობს საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების მიერ ერთ სფეროში დაგროვილი ცოდნის მეორე სფეროში გადატანის უნარის განვითარებას.

### **კვლევის მეთოდები**

თემა რამდენიმე კვლევას მოიცავს. პირველი საპილოტე კვლევა მიზნად ისახავს ქართულ საშუალო სკოლაში მასწავლებლებისა და საბაზო საფეხურზე მყოფი

მოსწავლეების ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონის განსაზღვრას. მეორე საპილოტე კვლევის მიზანია, ქართულ სკოლაში, საბაზო საფეხურზე მყოფი მასწავლებლების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა. ორივე შემთხვევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა.

მესამე ექსპერიმენტული, რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ სემინარიასა და ჩვენ სკოლაში. შეიქმნა კლასების პროფილები, რომლებიც ეფუძნებოდა მოსწავლეების მიერ შევსებული წინასაექსპერიმენტო კითხვარებისა და ენის დონის განმსაზღვრელი ელექტრონული ტესტისა და მოსწავლის ინტელექტის ტიპის განმსაზღვრელი ელექტრონული ტესტის შედეგების ანალიზს. მოხდა ერთი წინასაექსპერიმენტო ორი შუა ექსპერიმენტული და ერთიც ექსპერიმენტის შემდგომი ტესტის გაანალიზება. ჩატარებულ ექსპერიმენტზე დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოსავლენად ჩატარდა თვისობრივი კვლევა. შესაბამისად მოხდა მოსწავლეთა გამოკითხვა. ასევე, ავთენტური სურათის შექმნის მიზნით, ინტერვიუ ჩაიწერა სკოლის დირექტორთან და იმ მასწავლებლებთან რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ექსპერიმენტში. გაანალიზდა ყველა შედეგი და გაკეთდა შესაბამისი დასკვნებიც.

### **დისერტაციის სტრუქტურა**

დისერტაციის წყობა შემდეგნაირია:

შესავალი მოიცავს კვლევის ღირებულებას, სიახლეს, თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის კითხვებს, ჰიპოთეზებსა და მეთოდებს.

პირველი თავში ძირითადად წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვა და ის ფსიქოლოგიურ-ლინგვისტურისირთულეები რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან კითხვის სწავლების სირთულეებთან. ასევე გვაწვდის ტერმინის „ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის“ განმარტებას და მიმოიხილავს ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების მნიშვნელობას ინგლისური ენის აკადემიური მიზნებისათვის სწავლებაში. ბოლო თავი ეხება ინტეგრირებული სწავლების ისტორიასა ინტეგრირებული გაკვეთილების სწავლების მნიშვნელობას.



მეორე თავში საუბარია საქართველოში ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. მის ქვეთავებში განხილულია თუროგორ ესმით საქართველოში ინტეგრირებული გაკვეთილების ცნება, როგორ მიმდინარეობს კითხვის სწავლება საქართველოში და რამდენად მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილების წარმატებული დანერგვა ჩვენს განათლების სისტემაში.

მეასამე თავი მკითხველს სთავაზობს როგორც პრაქტიკულ სტრატეგიებს და ასევე საქართველოში, საბაზო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებზე, ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების მოდელს.

რაც შეეხება მეოთხე თავს, იგი მოიცავს უშუალოდ ექსპერიმენტსა და შედეგებს.

მეოთხე თავის შემდეგ განხილულია კვლევის შედეგები, რასაც მოსდევს დისკუსიები, კვლევის შეზღუდვები, დასკვნა და სამომავლო კვლევისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები.

თემა ასევე მოიცავს წყაროებს, 23 დანართს, 32 ცხრილს, 9 ციფრულ მონაცემსა და გამოყენებულ მასალას.


### **პირველი თავი. კითხვისა და ინტეგრირებული სწავლების თეორიული ფონი (ლიტერატურის მიმოხილვა)**

უკეთესი განათლების მისაღებად სტუდენტები ხშირად მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. ახალი ცოდნის შესაძენად ან ცოდნის სხვებზე გაზიარების მიზნით მკვლევარებშიც იგივე ტენდენცია შეინიშნება. სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთერთობისას წარმოქმნილი ენობრივი ბარიერების დასაწგრევად კი ინგლისური ენა ყველაზე ეფექტური საშუალებაა. სწორედ ამან განაპირობა საგანმანათლებლო სფეროში ინგლისური ენის ძირითად შესასწავლ ენად ქცევა და „ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის“ დარგის განვითარება. ტერმინი „ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის“ პირველად 1974 წელს გამოჩნდა და პირველად ტიმ ჯონსმა ახსენა (ჰილანდი, 2006). ეს არის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა და მოიცავს ენის ყველა უნარ-ჩვევას, სწავლების ყველა ასპექტს სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალების შექმნის, შეფასების, ენის ანალიზისა და მეთოდოლოგიის

ჩათვლით (ფლოვერდიუ, 2005). რაც შეეხება კენ ჰილანდს (2006), იგი აღნიშნავს რომ ავთენტურობა, ღრმა მეცნიერული საფუძველი, ინტერდისციპლინარულობა და რელევანტურობა წარმოადგენს ძირითად მახასიათებელს დარგისთვის „ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის“.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის მოიცავს ენის ყველა უნარ-ჩვევას, კითხვის უნარ-ჩვევის ჩათვლით. ეს უკანასკნელი კი მოიცავს არამხოლოდ დაწერილი ტექსტის გაშიფვრის პროცესს არამედ (პეგი 1990), ტექსტს, მკითხველსა და მკითხველის წინარე ცოდნას შორის ინტერაქტიულ პროცესს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ არსებობენ მოსწავლეები რომელთაც უჭირთ ტექსტის წაკითხვა და წაკითხულის გააზრება. მიზეზი მრავალია: კლინიკური და გენეტიკური დარღვევები, კითხვის უნარების არქონა, კომპეტენცია მშობლიურ ენაში (კარელი, 1991), თემა, ჟანრი და კითხვაში წინარე ნეგატიური გამოცდილება (ჰარმერი, 2002), მკითხველის ასაკი (იული & ოაკჰილი, 1991 როგორც მოხსენიებულია ვერპოვენის მიერ, 2011), ეთნიკურობა (სესილ მერხია, 1991), კულტურული ფონი და მეტა-კოგნიტური ცოდნა.

სურათი 1: კითხვის სირთულესთან დაკავშირებული მიზეზები



წყარო: შექმნილია მკვლევარის მიერ

კითხვის სირთულესთან დაკავშირებული პრობლემები შესაძლოა მოსწავლისთვის ბრაზის, სირცხვილის, გაღიზიანების, მოწყენილობის, იმედგაცრუების, ემოციური და ფსიქოლოგიური აშლილობის გამომწვევ მიზეზადაც კი იქცნენ (ფლემიგი, 2014). მასწავლებელმა დროულად უნდა მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება, ითანამშრომლოს მშობლებთან და ეძიოს პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებელმა ასევე პოზიტიური განწყობა უნდა შეიქმნას მოსწავლის მიმართ, არ უნდა მიაკეროს იარლიყი და არ უთხრას „უფრო მეტად მოინდომე“. დაგვიანებული ინტერვენციის შემთხვევაში მოსწავლეები ეცდებიან თავი აარიდონ წაკითხვას რაც სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს.

ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია ინგლისური ენის აკადემიური მიზნებისათვის სწავლებაში და გარკვეულწილად განაპირობებს მოსწავლის აკადემიურ წინსვლასაც. ეფექტური კითხვის სტრატეგიები ხელს უწყობს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ფუნდამენტურ სწავლას, ზრდის მოსწავლის თვითდაჯერებულობასა და მოტივაციას. იგი ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური საჭიროებებისა და ცხოვრებისეული მიზნების განხორციელებაში (ო'რელი, 2007). იგი აუმჯობესებს წაკითხულის გააზრებას, კონცენტრაციას, კომუნიკაციის უნარს, წარმოსახვას, ასევე მაღლა წევს განათლებულობის დონეს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სწავლის პროცესს ყველა საგანმანათლებლო სფეროში, ხელს უწყობს ემპათიის გრძნობის, სოციალური და მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და პირად კეთილდღეობას. იგი ასევე ამაღლებს მოსწავლეების თავდაჯერებულობას უცხოური ენების შესწავლის პროცესში (ოქსფორდი, 1990).

TIMSS & PIRLS (2016), მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში მოსწავლეებს მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ წაკითხულის გააზრებაში, საქართველოს საშუალო ინდექსი შეადგენს 471-ს, რაც საერთაშორისო ინდექსთან (500) შედარებით საგრძნობლად დაბალია. მონაცემების ანალიზი ცხადყოფს რომ არც მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და არც მასწავლებელთა ინტერვენციის სიხშირე არ განაპირობებს მოსწავლეთა წარმატებას კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაში, რადგან

განათლების სფეროშიზოგიერთი წამყვანი ქვეყნების კლასებში მოსწავლეთა უფრო მეტი რაოდენობაც კი არის და მასწავლებელთა ინტერვენციის სიხშირეც იგივეა ან უფრო ნაკლებიც კი. ეს გვაფიქრებინებს რომ პრობლემა მდგომარეობს სკოლის სასწავლო გეგმაში, სასწავლო სახელმძღვანელოებსა და მასწავლებელთა კვალიფიკაციაში. იგივე პრობლემას ვხვდებით უნივერსიტეტების სასწავლო გეგმაშიც, რადგან არცერთ უნივერსიტეტში არ ასწავლიან კითხვის ეფექტურ მეთოდებს ცალკე საგნად.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის გარდა ღრმა მეცნიერულისაფუძვლებისა, ავთენტურობას, რელევანტურობასა და ინტერდისციპლინარულობასაც ეყრდნობა.ინტერდისციპლინარულ ანუ ინტეგრირებულ სწავლებას საფუძელი ათას ცხრაას ოციან წლებში დაედო. მას კავშირი აქვს ალბერტ ბანდურას (1977) სოციალური სწავლების თეორიასთა. მისი საჭიროება გლობალიზაციისა და მუდმივად ცვალებადი და მოძრავი სამყაროდან გამომდინარე გაჩნდა. ხალს სჭირდება ერთ სფეროში მიღებული ცოდნის მეორეში გადატანის უნარ-ჩვევა, შესაბამისად, თანამედროვე განათლება და მისი სასწავლო გეგმა მოიცავს არამხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებსაც. იგი მიმართულია ისეთი პროგრამების დანერგვისკენ რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარ- ჩვევების განვითარებას. სასწავლო გეგმის მიზანია „ინტეგრაციის გაუმჯობესება“ (რანავერა, 1990. გვ.6). რობინ ფოგარტი და ჯუსი სტოჰერი (2008) ინტერდისციპლინარულ სწავლებას სამ ფორმად ყოფენ. პირველი ფორმის თანახმად ინტეგრაცია ხდება ერთ საგანში, მეორე ფორმაში - სხვადასხვა საგნებს შორის და მესამე ფორმაში კი როგორც ერთ საგანში ისე რამდენიმე საგანს შორის. მოცემული კვლევა უფრო მეორე ფორმას ეყრდნობა, კერძოდ კი მოხდა შემდეგი სამი საგნის ინტეგრირება: ინგლისური ენა, გეოგრაფია და ბიოლოგია.

სხვადასხვა მკვლევრის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრირებულ სწავლებას მთელი რიგი დადებითი მხარეები გააჩნია. იგი დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე (ლევიათან, 1991), იგი წარმოადგენს დასწრების ზრდის, სკოლისადმი დადებითი

განწყობისა და საშინაო დავალებების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო იარაღს ( იაკობსი, 1989), იგი ზრდის მოტივაციას და მოსწავლეებში ხელს უწყობს ენობრივი უნარების განვითარებას (ზვიეპი,2011), კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას (მეთისონ & ფრიმანი, 1997).

### **მეორე თავი.ინტეგრირებული გაკვეთილების დანერგვა საქართველოში**

ინტეგრირებული გაკვეთილები პირველ ნაბიჯებს დგამენ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს მცდელობა ინტეგრირებული სახელმძღვანელოების დანერგვის თაობაზე შემდეგი საგნების წყვილებში - ისტორია-გეოგრაფია, ალგებრა-გეომეტრია, სტატისტიკა-ალბათობის თეორია, ქართული ენა-ქართული ლიტერატურა, ქიმია-ფიზიკა, - კრახით დასრულდა შემდეგ მიზეზთა გამო: ინტეგრირებული სახელმძღვანელოების სპეციფიკიდან გამომდინარე ორი სხვადასხვა საგნის სწავლება ერთ მასწავლებელს უწევდა, შესაბამისად ყველა მასწავლებელმა სათანადოდ არ იცოდა მეორე საგანი (მაგალითად გეოგრაფიის მასწავლებელმა ისტორია და პირიქით), ამიტომ სკოლები კვლავაც აგრძელებდნენ საგნების ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგნებად სწავლებას. ან იმ სკოლებში სადაც სწავლება ერთი მასწავლებლის მიერ ხორციელდებოდა სწავლების ხარისხის დონე საკმაოდ დაბალი იყო. ამიტომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტრო იძულებული გახდა ცვლილებები გაეუქმებინა. ქიტიაშვილი (2016) ასკვნის რომ სახელმძღვანელოების შესაქმნელად მხოლოდ ბიუჯეტი გაიფლანგა, ხოლო სახელმძღვანელოს ავტორებს სამინისტროს მხრიდან გაუთვლელი ექსპერიმენტის მსხვერპლად მიჩნევს.

ამ კრახის მიუხედავად აღსანიშნავია ყველა ის დადებითი მხარე რაც ინტეგრირებულ სწავლებას გააჩნია ქართველი მოსწავლეებისა და თავად ქვეყნისათვის. უპირველეს ყოვლისა, როგორც ჯანაშია (2009) აღნიშნავს ქართველ მოსწავლეებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, ანალიზი და განზოგადება ან იმ კონცეფციების სინთეზირება რაც სხვადასხვა საგნებში შეისწავლეს. ინტეგრირებული სწავლება ხელს უწყობს სწავლებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაღალ თვით-ფეექტურობას, სინთეზური, ანალიტიკური და აბსტრაქტული აზროვნების

განვითარებას, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო ღრმად შეისწავლონ საკითხი და შეიძინონ ახალი უნარები ან ქვე-უნარები რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვედ მოაზროვნე მოსწავლეებისათვის.

ამასგარდა, PISA-ს კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიოს 72 ქვეყნიდან საქართველო 59-ე ადგილზეა საბუნებისმეტყველო საგნებში, 62-ე ადგილზე მათემატიკაში და 64-ე ადგილზე კითხვაში. თუ უფრო ახლოდან შევხედავთ იმ სიის თავში არსებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემას და სასწავლო გეგმას მივხვდებით რომ ინტეგრირებული სწავლებაა მათი წარმატების საწინდარია. (განათლება,ი.ი.). სწორედ ამ მიზეზით, ინტეგრირებული გაკვეთილების დანერგვა საქართველოს სკოლებში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საშუალებას მისცემს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს თუნდაც ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს განათლების სფეროში წამყვანი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს გასიგრძელებული აქვს რა ინტეგრირებული გაკვეთილების ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სიკეთე, მიუხედავად კრახისა, კვლავაც ცდილობს ინტეგრირებული სწავლების დანერგვას ეროვნული სასწავლო გეგმითა თუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმით.

ყველაფრის მიუხედავად, ძალიან ცოტა მასწავლებელი იყენებს ინტეგრირებულ სწავლებას თავის ყოველდღიურ პროფესიულ ცხოვრებაში. მიზეზები თუ რატომ არიდებენ თავს მასწავლებლები ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას განხილული იქნება შემდეგ თავებში.

### **მესამე თავი. ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირების მოდელი საქართველოში**

სწოლსა და ქემპბელის თანახმად (2017)კარგად დაგეგმილი გაკვეთილი გარანტიაა თავდაჯერებულობისა და ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებისა. ეფექტური გაკვეთილის დაგეგმვა და მით უფრო ინტეგრირებული გაკვეთილისა არ არის ადვილი. ეს არის რიგი წესებისა და გაიდლაინების გათვალისწინებითგრძელი

სავალი გზა. ქვემოთ წარმოდგენილია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო კომპონენტები.

*დრო:* იდეალურ შემთხვევაში ინტეგრირებული გაკვეთილი იგეგმება სასწავლო წლის დაწყებამდე ან ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

*მასწავლებელთა როლი:* ინტეგრირებული საგნების მასწავლებლებიდან არც ერთს არ აქვს დომინანტური როლი. მათი როლები გადანაწილებულია სასწავლო მასალის, გაკვეთილების მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე.


*კლასის პროფილი და სასწავლო მიზნები:* ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვამდე აუცილებელია კლასის პროფილის შექმნა. იგი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მისი სწავლების ტექნიკა მოარგონ მოსწავლის სწავლის სტილს. ძალიან ხშირად სასწავლო მიზნები განისაზღვრება კლასის პროფილიდან გამომდინარე. რამდენადაც ამ თეზისის ძირითადი მიზანი ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებაა, გაკვეთილის მიზნები უცხოური ენის მასწავლებლებისათვის უმეტეს წილად კითხვაზე უნდა იყოს ორიენტირებული მაგრამ ეს ხელს არ უშლის ისეთი ქვე-უნარების სწავლებას როგორებიცაა წერა, მოსმენა და საუბარი მით უფრო თუ ეს მიზნები ეფექტური კითხვის სტრატეგიების განვითარებას ემსახურება. სასწავლო მიზნები შესაბამისობაში უნდა მოდიოდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთანაც.

*თემის შერჩევა:* თემა უნდა იყოს საინტერესო როგორც მოსწავლეებისათვის ისე პარტნიორი მასწავლებლისათვის და უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მინიმუმ ერთ კრიტერიუმს. არჩეული თემა საერთო უნდა იყოს ორივე ინტეგრირებული საგნისათვის და უნდა ემსახურებოდეს სკოლის ინტეგრირებულ საგნებს შორის მყარი ხიდის გადებას. თემების ჩამონათვალის შექმნისთანავე იგი უნდა წარედგინოს მოსწავლეებს, რათა თავად ამოირჩიონ მათთვის სასურველი თემა. მოსწავლეების სასწავლო მასალების შექმნის პროცესში ჩართვა აუცილებელია

რადგან იგი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს და გაკვეთილებიც უფრო პროდუქტიულია.

*სასწავლო მასალების შექმნა და განვითარება:* სასწავლო მასალა უნდა ემსახურობდეს მოსწავლის მიერ ერთ საგანში დაგროვილი ცოდნის მეორე საგანში გადატანის უნარ-ჩვევის განვითარებას. მოსწავლეებს საშუალებას უნდა აძლევდეს საგანი შეისწავლონ კონტექსტში და არა განცალკევებულად, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის კითხვის სტრატეგიების განვითარებას და მორგებული უნდა იყოს იმ მასწავლებლებზეც რომლებიც არ არიან ჩართულნი მასალის შექმნაში. სასწავლო მასალები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის უნარებისა და ცოდნის დონეს (კლარკი, 1984). PIRLS (2016) ის თანახმად ქართველ მოსწავლეებს უჭირთ ინფორმაციული ტექსტების გაანალიზება. ამ პრობლემის გადასაჭრელად მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფორმაციული ტექსტის შერჩევაზე. კარგად განვითარებული სასწავლო მასალები მოიცავს ქვემოთ დიაგრამაში მოცემულ მასალებს.

სურათი 2. სასწავლო მასალები



წყარო: შექმნილია მკვლევარის მიერ

*ინტეგრირებული გაკვეთილის სტრუქტურა:* ზოგადად, ნებისმიერი გაკვეთილი მოთხრობის მსგავსად საჭიროებს შესავალს, განვითარებასა და დასკვნას, თუმცა გაკვეთილის ტემპი და sequencing იც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

*შეფასება:* შესაფასებელი ინსტრუმენტის შექმნაც ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის ნაწილია. არსებობს რამდენიმე ტიპის შეფასება და მასწავლებლებს




შეუძლიათ მოახდინონ ტრადიციული და ავთენტური შეფასებით ჯონგლიორობა სავარჯიშოებიდან და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.

დასკვნისთვის, მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს არამხოლოდ სწავლების არამედ დაგეგმვის პროცესიც.

*სასწავლო გეგმის შექმნა: ყველა სასწავლო გეგმა უნდა იყოს ნათელი და გასაგები ნაბისმიერი მასწავლებლისათვის. ყველა სასწავლო გეგმას უნდა ჰქონდეს მიზანი, კონტენტი, აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები. სილაბუსი უნდა შეიქმნას მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებით და უნდა უზრუნველყოფდეს ორი ან სამი საგნის ერთი თემის გარშემო გაერთიანებას.*


**სურათი 3. საგნებს შორის საერთო თემატიკის მოძიება**



წყარო: შექმილია მკვლევრის მიერ

ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით მკვლევრის მიერ შემუშავებულ იქნა ქვემოთ მოცემული სასწავლო გეგმის დიზაინი.

**სურათი 4. სასწავლო გეგმის მოდელის დიზაინი**



წყარო: შექმნილია მკვლევრის მიერ

*აქტივობები: და სტრატეგიები: კლასის პროფილზე დაყრდნობით მოხდა მთელი რიგი აქტივობების შექმნა რომლებიც მიზნად ისახავდნენ შემდეგი კითხვის სტრატეგიების სწავლებას :განჭვრეტა, კითხვის მიზნის დასახვა, წინარე ცოდნის გააქტიურება, ტექსტის სტრუქტურის ანალიზი, ზედაპირული კითხვა, ტექსტის კითხვა სპეციფიკური ინფორმაციის პოვნის მიზნით, ტექსტის ინტერპრეტაცია, ტექსტის ნაწილებად დაყოფა, 5 კითხვა, ლიტერატურული წრე, KWL (რა ვიცი? რა მსურს ვიცოდე? რა შევიტყვი?), ვიზუალიზაციაშეჯამება, კონტექსტური მინიშნებები, კავშირები და ავტორთან მიმართებაში კითხვების დასმა.აქტივობები ასევე ემსახურებოდნენ ორი და ხანდახან სამივე ინტეგრირებულ საგანს შორის მყარი ხიდის შენებას, მოსწავლეთა კითხვის სტრატეგიებისა და წაკითხულის გააზრების გაუმჯობესებას. აქტივობები შესაბამისობაში იყო არა მხოლოდ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან , არამედ მოსწავლეთა ინტერესებთანაც.*

### **მეთხე თავი. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები**

კვლევა არის თვისობრივი და მოიცავს რაოდენობრივი კვლევის ელემენტებსაც. მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებული იყო კვლევები, ტესტები და ინტერვიუები. კვლევა ჩატარდა ერთი აკადემიური წლის მანძილზე (2017-218) ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ სემინარიასა და ჩვენ სკოლაში. საჯარო სკოლებიდან განსხვავებით აქ ინგლისური გაძლიერებულად ისწავლება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ მეთორმეტე კლასში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან მხოლოდ მათემატიკალა ისწავლება, ამიტომ ექსპერიმენტის ჩასატარებლად მკვლევარმა მეათე და მეთერთმეტე კლასები აირჩია. სკოლის შიდა რეგულაციიდან გამომდინარე სკოლაში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 120 მოსწავლეს, ამიტომ ყველა კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა თოთხმეტს არ აღემატება. შესაბამისად კვლევაში მხოლოდ 28 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მკვლევრის მიერ მოსწავლეების გადანაწილება ექსპერიმენტალურ და საკონტროლო ჯგუფებში მოხდა მათი სქესისა და ინგლისური ენის დონის გათვალისწინებით. ყველა ექსპერიმენტალურ ჯგუფში მხოლოდ შვიდი მოსწავლეა და იგივე რაოდენობის მოსწავლეა საკონტროლო ჯგუფშიც. ექსპერიმენტულ ჯგუფში სწავლება

მიმდინარეობდა მკვლევრისა და საკონტროლო ჯგუფის მიერ შექმნილი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით ხოლო საკონტროლო ჯგუფში ერვნული სასწავლო გეგმით. ექსპერიმენტს კვირაში ერთხელ ორი აკადემიური საათი ეთმობოდა. რამდენადაც მკვლევარი არ იცნობდა მოსწავლეებს, მან შექმნა კითხვარი რომელიც კლასის პროფილის შექმნას ისახავდა მიზნად. მოსწავლეებმა ასევე წერეს ენის განმსაღვრელი ტესტის ელექტრონული ვერსია და ინტელექტის დონის განმსაზღვრელი ტესტი. ამ გზით მკვლევარმა მოახდინა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. შედეგების ანალიზმა აჩვენა რომ ექსპერიმენტის ჩატარებისას საჭირო იყო დიფერენცირებული სწავლების მეთოდის გამოყენება. მოსწავლე-მასწავლებლებისთვის განკუთვნილი წინასაექსპერიმენტო კითხვარი მიზნად ისახავდა პრობლემის მასშტაბურობის გამოვლენას. რაც შეეხება წინასაექსპერიმენტო, ორ შუასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომ ჩატარებულ ტესტებს, მათმა ანალიზმა მკვლევარს შესაძლებლობა მისცა შედეგების ერთმანეთზე შედარებისა, რამაც გამოკვეთა თუ რა ზეგავლენა ჰქონდა საბაზო საფეხურზე, ინგლისური და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სასწავლებლად შექმნილ სასწავლო გეგმას კითხვის უნარებსა და წაკითხული ტექსტის გაგებაზე. ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუები კი არსებულ თემაზე უფრო ავთენტური სურათის შექმნას ისახავდნენ მიზნად.

*კითხვარი კლასის პროფილის შეასაქმნელად:* კითხვარის შედეგებმა ცხადყო რომ კლასში არის გენდერული და სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსი. ასევე მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ინგლისური ენის დონითა და სწავლის ტიპით. გამოიყო სამი სხვადასხვა დონე, ამიტომ მკვლევარმა სწავლების დიფერენცირებულ მეთოდს მიანიჭა უპირატესობა და პერიოდულად, მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მშობლიურ ენასაც იყენებდა.

*წინასაექსპერიმენტო კითხვარი მოსწავლეებისათვის ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონის განსასაზღვრად:* კვლევამ ცხადყო რომ მოსწავლეთა მხოლოდ 3.66% სმენია ტერმინი „ეფექტური კითხვის სტრატეგიები“.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ კითხვარის შედეგებიდან გამომდინარე მოსწავლეების უმეტესობა ქვეცნობიერად ფლობს ეფექტური კითხვის სტრატეგიების გამოყენების ტექნიკას.

*წინასაექსპერიმენტო კითხვარი მასწავლებლებისათვის ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონის განსასაზღვრად:* ჩანს რომ მასწავლებელთა 57.69% სმენია ტერმინი „ეფექტური კითხვის სტრატეგიები“ თუმც მათგან მხოლოდ 12 მასწავლებელმა განაცხადა რომ ისინი ეფექტური კითხვის სტრატეგიებს ასწავლიდნენ თავიანთ მოსწავლეებს. კითხვარის თანახმად ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებაზე თავის არიდების მიზეზები შემდეგია: 1) სკოლის სახელმძღვანელოები გადატვირთულია სწავლო მასალების დიდი რაოდენობით. 2) ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება დაწყებითი მასწავლებლების მოვალეობად მიაჩნიათ და არა საბაზო საფეხურების მასწავლებლების მოვალეობად. 3) მოსწავლეები საკმაოდ კარგად ართმევენ თავს ტექსტებთან მუშაობას და ვერ ხედავენ ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების საჭიროებას.

*წინასაექსპერიმენტო კითხვარი მასწავლებლებისათვის ინტეგრირებული გაკვეთილების სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონის განსასაზღვრად:* მასწავლებელთა უმრავლესობას (55.84%) არ სმენოდა ინტერდისციპლინარული მიდგომების შესახებ და შესაბამისად არც მათი დაგეგმვის ტექნიკის შესახებ. მხოლოდ 24.67% განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მათი ძირითადი მოტივაცია უმეტესად კრედიტების დაგროვება იყო.

მოსწავლეების და მასწავლებლების კითხვარების შედეგების ანალიზიდან გამომდინარე შედეგები საგანგაშოა, რადგან ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება ან ინტეგრირებული გაკვეთილები ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მასწავლებელთა სახლმა ერთმანეთთან თანამშრომლობით უნდა მოახდინონ ტრენინგების

ორგანიზება მასწავლებლებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა ეფექტური კითხვის სტრატეგიისა და ინტეგრირებული გაკვეთილების დადებითი მხარეები და მათი ჩატარების ტექნიკა.

*წინასაექსპერიმენტო, შუასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტის შედეგები: წინასაექსპერიმენტო, შუასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტები წერეს როგორც საკონტროლოზე ექსპერიმენტულმა ჯგუფებმა. ეს საშუალებას იძლევა შედეგების ერთმანეთთან შედარებისას იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად შედეგიანია ექსპერიმენტის დროს დანერგილი მეთოდი. შედეგები შეიძლება შემდგენაირად შეჯამდეს:*

**ცხრილი 4.1 წინასაექსპერიმენტო, შუასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტის შედეგები**

ჯგუფი	კლასი	N	საშუალო ქულა	სტანდარტ.გა დახრა	
წინასაექსპერიმენტო ტესტი	საკონტროლო ჯგუფი	10	7	8	1,154701
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	8,142857	1,46385
	საკონტროლო ჯგუფი	11	7	8,428571	1,511858
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	8,428571	1,133893
შუასაექსპერიმენტო ტესტი 1	საკონტროლო ჯგუფი	10	7	7,571429	0,9759
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	8,428571	1,380131
	საკონტროლო ჯგუფი		7	8,142857	1,345185
	ექსპერიმენტული ჯგუფი	11	7	8,571429	0,9759
შუასაექსპერიმენტო ტესტი 2	საკონტროლო ჯგუფი	10	7	7,714286	1,112697
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	8,714286	1,397276
	საკონტროლო ჯგუფი	11	7	8,142857	1,46385
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	9	1,154701
ექსპერიმენტის შემდგომი ტესტი	საკონტროლო ჯგუფი	10	7	7,714286	1,112697
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	8,857143	1,253566
	საკონტროლო ჯგუფი	11	7	8,428571	1,272418
	ექსპერიმენტული ჯგუფი		7	9,428571	0,786796

მეათე კლასის საკონტროლო ჯგუფის საშუალო არითმეტიკული ცვალებადია და შედეგებიმერყეობს 8 დან 7.7. მდე ხოლო მეთერთმეტე კლასში 8.1 დან 8.6 მდე. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას, ის ერთზე მაღალია და ისიც ცვალებადია, რაც ცხადყოფს რომ ჯგუფში ყველა მოსწავლეს ერთი დონე არ აქვს კითხვის უნარებში და ტრადიციული მიდგომებითსწავლება ყველასთვის ერთნაირად სარგებლის მომტანი არ არის. მეათე კლასის ექსპერიმენტულ ჯგუფში შეინიშნება საშუალო არითმეტიკულის ზრდა 8.1 დან 8.6 მდე ხოლო მეთერთმეტე კლასში 8.4 დან 9.4 მდე. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას ის კვლავაც ერთზე მაღალია მეათე კლასში, მაგრამ პრე ექსპერიმენტულ ტესტთან შედარებით უფრო დაბალია, რაც შეეხება მეთერთმეტე კლასს სტანდარტული გადახრა ერთზე დაბალია ექსპერიმენტის ჩატარებისას შესრულებულ პირველ ტესტსა და ექსპერიმენტის შემდგომ ჩატარებულ კვლევაში , რაც ნიშნავს რომ კლასში შეინიშნება მოსწავლეთა კითხვის უნარების დონის მაჩვენებლის გათანაბრება, რაც შეიძლება რომ პოზიტიურად შეფასდეს. რაც შეეხება კორელაციისტესტის შედეგებს, ის აჩვენებს რომ უკუკავშირი დამოუკიდებელ (საშუალო არითმეტიკულის შედეგები) და დამოკიდებულ (იქ სადაც მეთოდით სწავლება მოხდა)ცვლადებს შორისმზარდია. მეათეში ეს 0.825-ია ხოლო მეთერთმეტეში -0.847.

სტანდარტული გადახრაორივე კლასში არის 0.00. რაც 0.05, ზე ნაკლებია და იმაზე მიუთითებს რომ სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის სტატისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასე რომ ექსპერიმენტულ ჯგუფს ნამდვილად უკეთესი შედეგები აქვს ვიდრე საკონტროლო ჯგუფს და არის მნიშვნელოვანი თანხვედრა და რომ საკმაოდ პოზიტიური თანაფარდობაა კითხვის სტრატეგიების სწავლებასა და წაკითხულის გააზრებას შორის.

*ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ მონაწილე მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან:* მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო რომ ინტეგრირებულ გაკვეთილებს დიდი დადებითი ზეგავლენა აქვს მოსწავლეებზე რადგან მათ საშუალებას აძლევს კატის გამოცდებისთვის უფრო აზრიანადგადამეორონ საბუნებისმეტყველო საგნების საკითხები. საბუნებისმეტყველო საგნები დაინახონ უფრო პოზიტიური კუთხიდან და ეფექტური კითხვის სტრატეგიები გამოიყენონ

სკოლის სხვა საგნებშიც რაც გარკვეულ წილად ერთ სფეროში დაგროვებული ცოდნის მეორე სფეროში გადატანის მცდელობაა. მეთოდი სიკეთის მომტანია მასწავლებელთათვისაც, რადგან გარდა იმისა რომ იძლევა კრედიტების დაგროვებისა და პროფესიული ზრდის საშუალებასპედაგოგს აჩვენებსსაკუთარძლიერ და სუსტმხხარეებს. ასევე აიძულებს მათ სხვა პოზიტიური კუთხიდან დაინახონ თავიანთი ზარმაცი მოსწავლეები. თუმც, მასწავლებლები ინტეგრირებული გაკვეთილის უარყოფით მხარედ დაგეგმვის პროცესს ასახელებენ, რომელიც დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს,

*ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ დირექტორთან :* გარდა ზემოთმოხსენებული დადებითი მხარეებისა, სიხარულიძე მიიჩნევს რომ მეთოდი უფრო მარტივად დანერგვადი იქნება იმ სკოლებში სადაც ინგლისური ენა გაძლიერებულად ისწავლება. ასევე ამბობს რომ იმისათვის რომ მოხდეს ინტეგრირებულ სწავლებაზე გადასვლა საჭიროა მეტი ტრენინგის ორგანიზება.

საბოლოო ჯამში ექსპერიმენტის შედეგები შეიძლება მიჩნეულ იქნას პოზიტიურად რადგან მოხერხდა კვლევის დაწყებამდე არსებულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო გამოეკვლია რა ზეგავლენას ახდენს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება საქართველოში,საბაზო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებზე. ლიტერატურის მიმოხილვა ემსახურებოდა კვლევისთვის თეორიული ჩარჩოს შეკვრას. კვლევის ძირითადი მიზანი იყო ეჩვენებინა მოსწავლეზე ორიენტირებული, ინოვაციური მიდგომის დანერგვის მნიშვნელობა საქართველოს საშუალო სკოლის კონტექსტში.

ინგლისური ენის კარგად ცოდნა, ეფექტური კითხვის სტრატეგიების ცოდნა და ერთ სფეროში დაგროვილი ცოდნის მეორეში გადატანის უნარ-ჩვევის ქონა მნიშვნელოვან მოთხოვნად იქცა კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის ეპოქაში. ამასგარდა, კითხვის უნარ-ჩვევის ქონა მოსწავლის აკადემიური მიღწევისა და პროფესიული ზრდის საწინდარიც არის. სამწუხაროდ TIMSS & PIRLS (2016), მოხსენების თანახმად კვლევაში 48 მონაწილე ქვეყანას შორის, საქართველო 38-ე

ადგილზეა და მისი ინდექსი (471) საერთაშორისო საშუალო ინდექსის (500) მაჩვენებელს ჩამოუვარდება. ეს ცხადყოფს რომ მიუხედავად იმისა რომ ეფექტური კითხვის მეთოდების სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთი შემადგენელი ნაწილია, საქართველოში მასწავლებლები ძალიან ცოტა დროს უთმობენ ან საერთოდაც თავს არიდებენ მის სწავლებას.

რაც შეეხება ინტეგრირებულ მიდგომას, მისი დანერგვა საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის. უპირველესყოვლისა, ჯანაშიას (2009) თანახმად ინტეგრირებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აბსტრაქტული და სინთეზური აზროვნების განვითარებას და სხვა და სხვა საგნებში ნასწავლი კონცეფციების გაანალიზებასა და განზოგადებას. თუმცა ყველა ზემოხსენებული პრობლემას წარმოადგენს ქართველი მისწავლეებისათვის. გარდა ამისა ინტეგრირებული სწავლება ამარტივებს უშუალოდ სწავლის პროცესს, მოსწავლეებს ეხმარება შესწავლილი კონცეფციების ერთ მთლიანობად აღქმაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გასიგრძეგანებული აქვს რა მისი მნიშვნელობა, ინტეგრირებული მიდგომის მასწავლებელთა ყოველდღიურ პროფესიულ ცხოვრებაში გამოყენების დანერგვის მიზნით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა ინტეგრირებული სახელმძღვანელოები, და ინტეგრირებული გაკვეთილები ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემადგენელ ნაწილად აქცია, თუმცა შედეგები იმედის გამაცრუებელი აღმოჩნდა. მიზეზი მრავალია: ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაკლებობა, სიახლის შიში, არსებულ სფეროში შესაბამისი ცოდნის შიში.

ამ თემაში მკვლევარი შეეცადა შეექმნა მოდელი რომელიც შეძლებდა არსებული სიცარიელის ამოვსებას ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვისა და ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების კომბინაცია შესაძლებელი გახდა ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური სემინარიისა და ჩვენი სკოლის დირექციასთან



თანამშრომლობით სადაც მკვლევარი დაარსების დღიდან, ანუ 2010 წლიდან მუშაობს. და უნდა აღინიშნოს რომ მონაწილე მოსწავლეების აქტიური დასწრების წყალობით შესაძლებელი გახდა შედეგებზე გასვლა.

საბოლოო შედეგები და მოკვლევები ასეთია:

- ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის, ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის ერთ-ერთი განშტოებაა. ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის უმეტეს წილად მოსწავლეზეა ორიენტირებული და შესაბამისად მისი ძირითადი მიზანია მოსწავლეს გაუადვილოს სწავლის პროცესი და აამაღლოს ინგლისური ენის ცოდნის ხარისხი, რაც გარკვეულ წილად მათივე აკადემიური მიღწევების გარანტია. ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის მოიცავს სწავლების ყველა სფეროს, მათ შორის სასწავლო გეგმასა და მასალების შექმნა-განვითარებას, შეფასებას, ანალიზსა და მეთოდებს (ფლოვერდიუ, 2005) და მოსწავლეებსა და აკადემიური ხარისხის მქონეებს საშუალებას აძლევს თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ საერთაშორისო ბაზარზე. იგი მოიცავს ენის ოთხივე უნარ-ჩვევას, ჰილანდის (2006) თანახმად იგი ეყრდნობა ავთენტურობას, ინტერდისციპლინარულობას, რელევანტურობასა და ღრმა მეცნიერულ საფუძველს.
- სიტყვა „კითხვის“ მნიშვნელობა შესაძლოა შეჯამდეს როგორც დაწერილი ენის გაშიფვრის სელექციური პროცესი, მკითხველის წინარე ცოდნასა და ტექსტან ინტერაქციის რთული პროცესი. კითხვის პროცესი წინ უსწრებს ტექსტის გაშიფვრის დაწყებას, ამიტომაც პრე, პოსტ და ტექსტის კითხვისას გამოსაყენებელი კითხვის სტრატეგიების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. იგი მკითხველს ეხმარება კითხვის უნარჩვევის გაუმჯობესებაში, ასტიმულირებს კონცენტრაციისა და კომუნიკაციის უნარებს. იგი ასევე ამაღლებს განათლებულობის დონეს. კითხვის უნარ-ჩვევაზე სრულყოფილად დაუფლება იმ უნარ-ჩვევათა სიაშია, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ნებისიერ საგანმანათლებლო და დასაქმების სფეროში. ამიტომაც ამ კვლევაში უპირატესობა მიენიჭათ შემდეგი ეფექტური კითხვის სტრატეგიების ანალიზსა და სწავლებას:განჭვრეტა, კითხვის მიზნის დასახვა, წინარე ცოდნის

გააქტიურება, ტექსტის სტრუქტურის ანალიზი, ზედაპირული კითხვა, ტექსტის კითხვა სპეციფიკური ინფორმაციის პოვნის მიზნით, ტექსტის ინტერპრეტაცია, ტექსტის ნაწილებად დაყოფა, 5 კითხვა, ლიტერატურული წრე, KWL (რა ვიცი? რა მსურს ვიცოდე? რა შევიტყვე?), ვიზუალიზაციაშეჯამება, კონტექსტური მინიშნებები, კავშირები და ავტორთან მიმართებაში კითხვების დასმა.

- მოსწავლის კითხვის უნარ-ჩვევაში დახელოვნებასა და წაკითხულის უკეთ გაგებაში რამდენიმე ფაქტორი თამაშობს მნიშვნელოვან როლს: პერფექტის (1985), თანახმად მოსწავლის კითხვის უნარ-ჩვევაში დახელოვნებას გაშიფვრის უნარ-ჩვევაში დახელოვნება, მდიდარი ლექსიკა და წაკითხულის გააზრების უნარი განაპირობებს. ვიგინსი (1989) მიიჩნევს რომ კითხვაში დახელოვნება ტექსტში ბჭკარედებს მიღმა ავტორის მიერ ჩადებული ძირითადი მიზნის ამოკითხვის უნარს მოიცავს. თუმც არის მოსწავლეთა ნაწილი რომელთაც გაშიფვრის, ლექსიკისა და წაკითხულის გაგების არც ერთ კომპონენტში არ აქვს პრობლემა, მაგრამ უბრალოდ ვერ იმახსოვრებენ წაკითხულის შინაარსს და უჭირთ წაკითხულის გააზრებაც მიზეზი მრავალია: ჰარმერი (2002) მიიჩნევს რომ ენა, თემა, ჟანრი, კითხვასთან დაკავშირებული წინარე ნეგატიური გამოცდილება წაკითხულის გააზრებაში კრახის ძირითადი ფაქტორებია. კითხვის სწავლებისას მოსწავლეთა სოციალური ფონი, კლინიკური და კითხვის სირთულესთან დაკავშირებული გენეტიკური ფაქტორებიც ყურადსაღებია.
- თუ მოსწავლეებს აქვთ კითხვასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე, მასწავლებლის ძირითადი ვალდებულებაა სწავლების ტემპისა და სასწავლო მასალების მოსწავლეების სწავლის ტიპზე მორგება, კითხვის ან წაკითხულის გაგების პროცესში მოსწავლეთა თუნდაც უმნიშვნელო ძალისხმევის შექება. ყველა მოსწავლეს თანაბრად უნდა მოვეპყროთ. სხვაგვარად, მათი უგულებელყოფა ან მათზე იარლიყის მიწებება შესაძლოა გახდეს მოსწავლეთა მარტოსულობის, დაბალი თვით-შეფასების, ისეთი ემოციური და ფსიქოლოგიური აშლილობის მიზეზი როგორც არის დეპრესია, გაღიზიანება, ქცევითი აშლილობა ან ნარკოტიკის მოხმარებაც კი (ფლემინგი,

2004). პრობლემის იდენტიფიცირება და ინტერვენცია აუცილებლად დროული უნდა იყოს.

- გარდა ავთენტურობისა, ღრმა მეცნიერული საფუძველისა და რელევანტურობისა ინგლისური ენა აკადემიური მიზნებისათვის ეყრდნობა ინტერდისციპლინარულობასაც. ამიტომაც ლიტერატურის მიმოხილვაში მოხდა ინტერდისციპლინარული ანუ ინტეგრირებული სწავლების განხილვაც. ინტეგრირებული სწავლება მოსწავლეზეა ორიენტირებული. მიუხედავად იმისა რომ ამ დარგს 30 ზე მეტწლიანი ისტორია აქვს საქართველოში იგი მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი რეფორმების პერიოდით თარიღდება თუმც, ვერ დაიმკვიდრა სტაბილური ადგილი საგანმანათლებლო სფეროში. გარდნერის (1993) და დევის (1990) თანახმად, ინტეგრირებული გაკვეთილის სასწავლო გეგმა უნდა იყოს თემატური, აზრიანი და ინტერაქტიული. გაკვეთილების ხანგრძლივობა უნდა იყოს მოქნილი და უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს. სასწავლო გეგმა მორგებული უნდა იყოს რეალობაზე. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს შესწავლილი მასალის რეალურ ხოვრებაში გამოყენების საშუალებას. მოსწავლის პირადი გამოცდილება უნდა იყოს ახალი შესასწავლი მასალის ძირითადი საფუძველი. რაც შეეხება გუდმანს (2014), იგი ხოტბას ენის როგორც ერთი მთლიანობის მიდგომას ასხამდა ხოტბას და მზობდა რომ ნაკლები ყურადღება უნდა მიჰქცეოდა ლექსიკის ან ენის სხვა რომელიმე უნარს ცალკე.
- ინტეგრირებული სწავლება პაჟეს კონსტრუქტივიზმის თეორიასაც ეფუძნება. პიაჟე (1956) ამბობს რომ მოსწავლეებმა უნდა შეძლონ წინარე გამოცდილების ახალ კონტექსტში გამოყენება, რაც ინტეგრირებული გაკვეთილების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. საბოლოო ჯამში, სასწავლო გეგმა მოსწავლეს პირადი სამყაროს შექმნაში უნდა დაეხმაროს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლების მოდელი ლიტერატურისა და გუდმანის ენის როგორც მთლიანობის თეორიის, პიაჟეს კონსტრუქტივიზმის თეორიისა და გარდნერისა და დიუის ინტერდისციპლინარული თეორიის ძირითად

კონცეფციებზე დაყრდნობით შეიქმნა. მკვლევარი გვთავაზობს სასწავლო გეგმის დასაგეგმად საჭირო ეტაპებს:

- სასწავლო გეგმა სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა შედგეს.
- ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებისას, ისევე როგორც სასწავლო გეგმის შექმნისას მნიშვნელოვანია ინტეგრირებული საგნის მასწავლებელთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა.
- კლასის პროფილის შექმნა სასწავლო გეგმის შექმნას ემსახურება და მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე.
- სასწავლო მიძნები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.
- უნდა მოხდეს ინტეგრირებულ საგანებში საერთო თემის გამოვლენა როგორც მიმდინარე ისე გასული წლის წიგნებიდან.
- მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში გამოყენებული თემების არჩევაში.
- სასწავლო მასალა უნდა ა) ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, ბ) შეესაბამებოდეს მოსწავლეთა საჭიროებებს, ასაკსა და ინტერესებს, გ) მოიცავდეს ინტეგრირებულ საგნების სახელმძღვანელოებში არსებულ საერთო თემატიკას, დ) უზრუნველყოფდეს ინტეგრირებულ საგნებს შორის არსებული კავშირის დანახვასა და მოსწავლეების მიერ საგნის როგორც ერთი მთლიანობად შესწავლაზე ხელშეწყობას, ე) კითხვისა და ერთ სფეროში მიღებული ცოდნის მეორეში გადატანის უნარების განვითარებაზე ხელშეწყობას.
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შექმნისას, ორივე საგნის მასწავლებლის ინტერესი უნდა იქნას გათვალისწინებული და მასწავლებელთა როლებიც აქტივობებისა და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით უნდა იქნას გადანაწილებული.
- ინტეგრირებულ გაკვეთილებს ჩვეულებრივი გაკვეთილების მსგავსად უნდა ჰქონდეს შესავალი, განვითარება და დასკვნა, თუმც სწავლების ტემპი და აქტივობების თანმიმდევრობაც მნიშვნელოვან როლებს თამაშობენ.

- ზემოხსენებულ თეორიებზე დაყრდნობით, მკვლევარმა მეათე და მეთერთმეტე კლასებისთვის ასევე შექმნა ინტეგრირებული სასწავლო გეგმები. მათი ძირითადი მიზანი იყო მასწავლებლებისთვის თეორიული ტიპის გაკვეთილების ნაცვლად სწავლების ინტერაქტიული მეთოდი შეეთავაზებინა. ამისათვის კი საჭიროა მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობა, დისკუსიების გამოყენება და ახალი მასალის სასწავლებლად ინდუქციის მეთოდზე დაყრდნობა.
- რამდენადაც მკვლევარს სურდა, რომ ექსპერიმენტის დაწყებამდე გაერკვია თუ როგორი იყო ქართულ სკოლაში, საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლების ეფექტური კითხვის სტრატეგიებზე ინფორმირებულობის დონე და ასევე მასწავლებელთა ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ინფორმირებულობის დონე, შექმნა კითხვარები, რომლებიც მოიცავდნენ როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს.
- კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინფორმირებულობის დონეც დაბალი იყო ეფექტური კითხვის სტრატეგიებთან მიმართებით, რომ მასწავლებელთა ის ნაწილი, რომელიც ინფორმირებული იყო, იშვიათად ასწავლიდა მას მოსწავლეებს შემდეგ მიზეზთა გამო: მაგალითად ისინი ფიქრობდნენ რომ ეფექტური კითხვის სტრატეგიები უნდა ისწავლებოდეს უმეტეს წილად საწყის ან საბაზო საფეხურზე მყოფი და არა საშუალო საფეხურზე მყოფი მასწავლებლების მიერ, დროის უკმარისობაც ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევა. რაც შეეხებათ მოსწავლეებს, კითხვარმა ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ეფექტური კითხვის სტრატეგიების თაობაზე ქვეცნობიერად მაინც ფლობენ რამდენიმე მათგანს და იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.
- ამ თემის ჰიპოთეზა იყო ის რომ ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლება აუმჯობესებს მოსწავლეთა წაკითხულის გააზრების დონესა და აკადემიურ მოსწრებას. ეს იდეა გამყარებულ იქნა წინასაექსპერიმენტო, შუასაექსპერიმენტიდა ექსპერიმენტის შემდგომი ტესტების შედეგებით

რომელთა მაჩვენებელიც ექსპერიმენტულ ჯგუფში 8.85 დან 9.57 მდე გაიზარდა მეთერთმეტე კლასში ხოლო მეათე კლასში 8.14 დან 8.86 მდე.

რეკომენდაციები:

- უპირველეს ყოვლისა სასურველია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მომავალი მასწავლებლებისათვის შექმნას საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებასა და კითხვის უნარების განვითარებას. ეს ხელს შეუწყობს ზემოხსენებული სტრატეგიების ეფექტურად სწავლებას სკოლებში რაც თავის მხრივ მოსწავლეთა წარმატების გარანტია.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებისთვისაც უნდა უნდა შექმნას პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური კითხვის მეთოდების ეფექტურ სწავლებასა და კითხვის უნარების განვითარებას. ასევე უნდა შექმნას სასწავლო რესურსები რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებასა და კითხვის უნარების განვითარებაზე.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასურველია დაგეგმოს ტრენინგები მასწავლებლებისთვის, სადაც განხილული იქნება ყველა ის დადებითი მხარე რაც ინტეგრირებული გაკვეთილებისა და ეფექტური კითხვის სტრატეგიების დანერგვას გააჩნია მოსწავლეებისათვის. ეს დარგისადმი ერთი ორად გაზრდიდა მინიმუმ იმ მასწავლებელთა ინტერესსა და მოტივაციას რომელთაც ნამდვილად ადარდებთ საკუთარი მოსწავლეების აკადემიური მიღწევები და მომვალი.
- სკოლა დიდ როლს თამაშობს კითხვის უნარების განვითარებასა და ეფექტური კითხვის სტრატეგიების სწავლებაში. ამიტომ სკოლებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო სასწავლო გარემოს შექმნა და მოსწავლეების სათანადო სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა. ამასგარდა, სკოლაში უნდა დაასაქმონ მხოლოდ კვალიფიცირებული მასწავლებლები.

სამწუხაროდ, რამდენადაც კვალიფიცირებული მასწავლებელი უფრო მაღალ ანაზღაურებას ითხოვს დირექტორები ნაკლებ კვალიფიციურ მასწავლებლებზე აჩერებენ არჩევანს.

- რაც შეეხებათ მასწავლებლებს, მათ ძალიან დიდი ყურადღებით უნდა შექმნან კითხვის სტრატეგიების შესაფასებელი კრიტერიუმები. PIRLS ის კვლევების თანახმად, განათლების სფეროში წამყვანი ქვეყნებში მასწავლებლები მეტ ყურადღებას აქცევენ ტექსტის გაგებას, აფასებენ ენის ელემენტებს და იმასაც თუ როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთა მოსწავლემ ან როგორ გადმოსცა ტექსტის ძირითადი აზრი.
- მასწავლებლება მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ როგორც მოსწავლეებთან ასევე მათ მშობლებთან. სასურველია ორგანიზება გაუკეთონ სემინარებს და ინფორმაცია მიაწოდონ მშობლებს იმის შესახებ თუ რამხელა როლი ეკისრებათ მათ საკუთარი შვილების წარმატებასა და აკადემიურ მიღწევებში.
- რეკომენდებულია მასწავლებლებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ეფექტური კითხვის სტრატეგიების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე სწავლების შემუშავებული მოდელი, რადგან ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში წაკითხულის გააზრებას, ზრდის ენთუზიაზმს და ხელს უწყობს სკოლის გამოსაშვები გამოცდების კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებისთვის საჭირო მასალების უფრო სახალისო ფორმით გადამეორებას.

### **შემდგომი კვლევის ძირითადი მიმართულებები**

სასურველია შემდგომ კვლევაში მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტმა მონაწილემ. სასურველია მონაწილეები იყვნენ ორივე სქესის, სხვა და სხვა დემოგრაფიული, სოციო-კულტურული ფენის წარმომადგენლები.

**დისერტაციის ძირითადი შედეგი გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:**

1. Kumsiashvili, T. (2018). Teaching previewing and predicting to high school students in Georgia. *Journal of Education in Black Sea Region*, 3 (2), 103-114.

2. Kumsiashvili, T. (2018). Teaching reading in Georgian school context. *Social Educational Project of Improving Knowledge in Economics Journal*, 19, 39-41.
3. Kumsiashvili, T. (2017). English language lessons garnished with biology vocabulary. *The 7<sup>th</sup> International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English (IRCEELT)*, 886-907.